

# ოპოზიციას ერთი ლიდერი არ უნდა ჰყავდეს!

გაზეთი “ახალი თაობა” – 17 ოქტომბერი, № 287, 2008

## ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპაგასთან

– დღეს ბევრს საუბრობენ სამთავრობო ცვლილებებზე. როგორ ფიქრობთ, განახლებულ მთავრობას ისევ ვანო მერაბიშვილი და კახა ბენდუქიძე გააკონტროლებენ?

– არა, მე ვერ ვიტყვი, რომ ასე მარტივად არის საქმე. ბენდუქიძის ფენომენი უფრო იდეოლოგურია. ხოლო რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, მისი როგორც მინისტრის სრულად შეფასება გამიჭირდება. ერთი რამ არის: სააკაშვილის მთავრობაში თუკი რომელიმე სტრუქტურა მეტ-ნაკლებად ევექტიანად ფუნქციონირებს, ჩემი ღრმა რწმენით, ეს მაინც შინაგან საქმეთა სამინისტროა. მეორეა, როგორ შეაფასებს ამ საქმიანობას საზოგადოების ესა თუ ის ნაწილი, დადებითად თუ უარყოფითად, მაგრამ ყველაზე წარმატებულად, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, მისთვის დაკისრებულ ფუნქციას სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტრო ასრულებს. თორემ თქვენ როგორ ფიქრობთ, საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის ფუნქციას ასრულებს? მე მგონი, საქართველოში არ არსებობს კაცი, ვინც ამაყობს იმით, თუ როგორ მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

– ოპოზიციას ერთი გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. როგორ ფიქრობთ, ის რომ ლიდერი არ არის, ეს ოპოზიციის ბრალია?

– ერთი გამოკვეთილი ლიდერი რომ არ არის ეს არ არის პრობლემა. პრობლემა ისაა, რომ მოთხოვნა იმაზე, რომ ოპოზიციას ერთი ლიდერი ჰყავდეს ეს ჩვენი ხალხის დაბალი პოლიტიკური კულტურის გამოხატულება. ოპოზიციას შეიძლება სულაც არ ჰყავდეს ერთი გამოკვეთილი ლიდერი და ის მაინც ძალიან ძლიერი იყოს. მაგრამ საქართველოში პოლიტიკური კულტურა იმდენად დაბალია, რომ ხალხს უნდა “ცუდი მეფე კარგით შეცვალოს”.

– ოპოზიციური კუთხით ბურჯანაძის, ნოდაიდელის და კიშმარიშვილის შესაძლო გააქტიურებას როგორ აფასებთ თანაც იმ ფონზე, როდესაც პრეზიდენტმა დემიკრატიის ახალ ტალღაზე გააკეთა აქცენტი?

– ახალი ტალღის ჯერ არაფერი გაგვიგია გარდა იმისა, რომ სწორედ ახალი ტალღის გამოცხადების შემდეგ “მაესტროს” ჩამოერთვა უფლება, ანუ სამართებლივი უარი ეთქვა. შემდეგ კი მოხდა სასწაული, კურიოზული რამ. რა თქმა უნდა, მე როგორც ერთ რიგით ქართველს მიხარია, რომ “მაესტროში” საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები აღდგება, მაგრამ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს კანონის დარღვევით. იმიტომ, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არსებობს კავშირგაბმულობაში, იმას იმიტომ ჰქვია დამოუკიდებელი, რომ მის გადაწყვეტილებაში არც ერთ პოლიტიკურ ორგანოს არ აქვს ჩარევის უფლება. მას შემდეგ, რაც დაიბარეს ამ ორგანოს – მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელი პარლამენტის თავმჯდომარესთან, შეხვედრის შემდეგ მან შეცვალა გადაწყვეტილება. ეს ნიშნავს კანონის დარღვევას.

– კანონის დარღვევა მარტო პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან მოხდა?

– პარლამენტი კოლექტიური ორგანოა. ამიტომ კანონი დაირღვა პარლამენტის მხრიდან. ინიცირებული კი ეს იყო ოპოზიციის ლიდერის, გიორგი თარგამაძის მხრიდან. ასე რომ, მოდით, ამას ასე შეგხედოთ: რეალურად კანონი დაირღვა, მაგრამ მაინც მიხარია, რომ ეს გადაცემები აღდგება. გადაცემები უნდა აღდგეს 35 დღის შემდეგ, რატომ 35 და არა 25 დღის შემდეგ? ანუ რამ განაპირობა ეს 35 დღე. იმავე წამს საზოგადოებაში ამას ასეთი შეფასება მიეცა, რომ 7 ნოემბერი გველოდება და მხოლოდ 7 ნოემბრის შემდეგ შეიძლება, რომ დაიწყოს გადაცემა. ხალხი ხომ სულელი არ არის. თუ ხალხს არ აუხსნი, რატომ არის ამა თუ იმ გადაწყვეტილების ქვეშ ესა თუ ის თარიღი გაცხადებული, ხალხი ამას თვითონ ხსნის და ეს არ აიხსნება ხოლმე ხელისუფლების სასარგებლოდ. ამიტომ ამ ახალი ე.წ. “ტალღისთვის” ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. “მაესტროზე” რომ აღდგება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, ეს კარგია, მაგრამ

“მაესტროს” კიდევ უფრო მეტი პრობლემა აქვს ტექნიკური ხასიათის და დაფარვის თვალსაზრისით, ვიდრე “კავკასიას”. რა თქმა უნდა, მას თავისი მაყურებელი პყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ საქართველოს კი არა, მთელ თბილისსაც კი არ მიწვდება მაზე ხელი.

– სააკაშვილის ყოფილ თანაგუნდელებს რა შანსები აქვთ, მათ ხომ არ გაუპროტესტებიათ სააკაშვილის და მთლიანად ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯები?

– ალბათ, მე თავს შევიკავებ ქალბატონ ნინოსთან მიმართებაში, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, მოვიაზრებოდით ერთ გუნდში. მე ვიყავი პარლამენტი შესული, როგორც მისი გუნდის წარმომადგენელი და ალბათ ეთიკურად არ იქნება ლამაზი რაიმე ვთქვა. ეს მისი გადაწყვეტილებაა. ჩემთვის რომ ეკითხა აზრი, მე პირადად არ ვურჩევდი მას პოლიტიკაში დარჩენას. მე მეგობრულად არ ვურჩევდი, თუმცა, მე ყველაზე ნაკლებად მაქვს მის მიმართ რაიმე საპრეტენზიო, მაგრამ დღეს ამ ეტაპზე მისი პოლიტიკაში ყოფნა, ჩემი აზრით, არ არის გამართლებული. რაც შეეხება ბატონ ზურაბ ნოდაიდელს, უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ ნამდვილად შეცდომად მიმაჩნია მის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები ეკონომიკასთან დაკავშირებით. თუმცა, ასევე დიდი შეცდომა იყო მისი პრემიერ-მინისტრობა. უნდა კაცს პოლიტიკაში და ვერ აუკრძალავ ვერავის ამას. უნდა და იყოს. არა მგონია, რომ ახლა მას რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური მომავალი ჰქონდეს. ის არასდროს არ იყო პოპულარული პიროვნება პოლიტიკაში. თუმაცა, მინდა გითხრათ, რომ ნოდაიდელს ერთი დიდი პლუსი მაინც აქვს, რომ თავისი პირველი და მეორე ფინანსთა მინისტრობის დროს მან გარკვეულწილად შეძლო სახელმწიფოს ფინანსურ სექტორში წესრიგის დამყარება. ეს მას არ უნდა დაგუკარგოთ. ეროსი კიწმარიშვილზე რა გითხრათ, მე ამ პიროვნებას იმდენად შორიდან ვიცხობ და იმდენად მხოლოდ უარყოფით ფერებში, რომ გამიჭირდება მასზე რაიმეს თქმა. მეორე მხრივ, იმ უარყოფითზეც შეუძლიათ მხოლოდ მათ საუბარი, ვინც მას უკეთ იცნობს.

– საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა ახალციხის გავლით ერევანი-ბათუმის დამაკავშირებელ ახალი მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით. თქვენი პოზიცია როგორია?

– თავისთავად ეს არ არის მარტივი საქმე. პლუსი არის ძალიან დიდი იმიტომ, რომ სომხეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, არის ჩვენი მეზობელი. ხომ არ შეიძლება მუდმივ რეჟიმში გაგრძელდეს ის, რაც ჩამოყალიბდა, ანუ მუდმივი კონფრონტაცია, დაპირისპირება. ეს ხომ არ არის სწორი. ოდესმე საკითხი უნდა გადაწყდეს. აქედან გამომდინარე, როგორმე უნდა მოგვარდეს პრობლემები. მე მივესალმები თურქეთისა და სომხეთს შორის დიალოგი თუ დაიწყება. თუმცა, სომხეთმა უნდა იცოდეს, რომ მას აქვს საკმაოდ სერიოზული შეცდომა დაშვებული აზერბაიჯანთან მიმართებაში და ეს შეცდომა უნდა გამოასწოროს. მაგრამ თუ დიალოგი არ იქნა, შეცდომის გამოსწორების ალბათობაც შემცირდება. სომხეთი განიხილება და საკმაოდ ობიექტურადაც როგორც რუსეთის ფორპოსტი ამიერკავკასიაში. ჩვენ გვაწყობს, რომ იყოს კავკასიაში რუსეთის ფორპოსტი საერთოდ? რა თქმა უნდა, არ გავწყობს. და თუ წავა სომხეთის ინტეგრაცია თურქეთისკენ უფრო მეტად, შეიძლება იქ კიდევაც დაიკარგოს რუსეთის ზეგავლენა, ან ისეთი ძლიერი მაინც არ იყოს. სომხეთს გარკვეული წყენაც აქვს რუსეთის მიმართ. ლარსის უდელტებილზე საგზაო მონაკვეთი რომ დახურა, ფაქტიურად შეწყდა სააგტომობილო მოძრაობა სომხეთსა და რუსეთს შორის. ამან სომხეთს ძალიან დიდი დარტყმა მიაჟენა. ხოლო ომის დროს რომ რკინიგზა აფეთქდა, პირველ რიგში, დარტყმა მიიღო სომხეთმა. ბოლო დროს სომები ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩვენ ვიყავით რუსეთის ფორპოსტი და დღეს გავხდით ვასალებიო. ამდენად, სულაც არ არიან სომხები დიდად ბედნიერები რუსეთისგან. ახლა საქართველოს კუთხით შევხედოთ. საქართველოში ინფრასტრუქტურა რაც უფრო მეტად იქნება განვითარებული, უფრო უკეთესია ეკონომიკისათვის. ამ ომმაც აჩვენა, რომ ერთი გზის პირობებში საქართველოს ზღვაზე მისასვლელი გზის გაწყვეტა ადგილია. რაც შეეხება ჯავახეთის მოსახლეობას, არის პრობლემა? – რა თქმა უნდა არის. მაგრამ გზა იქნება თუ არა, ეს პრობლემა მაინც იქნება. ის რომ რუსული სამხედრო ბაზები

სომხეთშია, რა თქმა უნდა, პრობლემაა და თუ გზა იქნება, ალბათ, ის ალბათობა, რომ ეს გზა გამოყენებულ იქნება სამხედრო მიზნებისთვის, საკმაოდ დიდია.

– რეალურად ახალი როკის გვირაბია იგივე სომხეთი, – აჭარის დამაკავშირებელი მაგისტრალი?

– პოტენციურად ახალი როკის გვირაბი შეიძლება გახდეს. თუ დაგუშვებთ შეცდომას, ანუ ეს ყველაფერი დამოკიდებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. დაუშვებ შეცდომას? – გახდება ეს გზატკეცილი ახალი როკის გვირაბი. შესაძლოა ისეთი პოლიტიკის წარმართვაც, რომ, პირიქით, ეს გახდეს იმის საფუძველი, რომ საქართველოს ეკონომიკაც უფრო განვითარდეს, რომ იქ მაცხოვრებელი ეთნიკური სომხები თავს უკეთესად გრძნობდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები. ეთნიკურ სომებს უნდა ჰქონდეს სელმისაწვდომობა თავის ისტორიულ სამშობლოსთან. მაგრამ საქართველოს სელისუფლებამ ყველა პირობა უნდა შეუქმნას ამ ადამიანებს აქ ცხოვრებისთვის და განვითარებისთვის.

– როგორც ეცონომისტს, მაინც მიზანშეწონილად არ მიგაჩნიათ ასეთ როგორც ეცონომიკურ და პოლიტიკურ ფონზე სომხეთთან ახალი მაგისტრალის მშენებლობა?

– ვერ ვიტყვი ასე ერთმნიშვნელოვნად. მე მაკლია ინფორმაცია, უფრო სწორად, რა კონკრეტული გარიგებები შედგა საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტებს შორის. ჩემთვის გაუგებარია, რატომ მაინცდამაინც ახლა დაიწყო ამაზე საუბარი და გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. ეს რომ ყოფილიყო ომამდე, ან ყოფილიყო უფრო მოგვიანებით, მაშინ უფრო ნაკლები ეჭვიც გვექნებოდა. ვიმეორებ, ამ პროექტში მინდა ბევრი პოზიცი დაინახო. მინდა დავინახო, რომ სომხეთი შეეგუოს იმ აზრს, რომ მისი მეზობელია თურქეთი, აზერბაიჯანი. ნუ იმეგობრებს, მაგრამ იმეზობლოს მაინც. სხვანაირად ცხოვრება შეუძლებელია. როგორც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა ვიმეგობროთ რუსეთთან, მაგრამ უნდა ვიმეზობლოთ. რაღაც დონის ურთიერთობა უნდა გვქონდეს. ურთიერთობები აი, ასეთ ფორმატში

უნდა გადავიდეს. მაინც რა ხდება ახლა, ჯერ რუსის ჯარი არ გასულა და სომხეთის პრეზიდენტი ჩამოვიდა ამ პროექტთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამ პროექტთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია არ გამაჩნია.

### **შორენა ქოწოწაშვილი**